თემო ჯოჯუა, თამაზ გოგოლაძე, ირაკლი გელაშვილი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (FR/411/1-10/14) „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი“-ს მეორე წლის შედეგების პრეზენტაცია

2015 წლიდან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით არასამთასვრობო ორგანიზაცია „უცნობი საქართველო“-ს წევრები ვახორციელებთ პროექტს სახელწოდებით „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (FR/411/1-10/14)“. პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული რეგიონის წარწერების შესწავლასა და კორპუსული სახით გამოცემას. პროექტის გეგმა-გრაფიკით გათავლისწინებულია მეოთხე კვარტლის ბოლოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული მეორე წლის სამუშაოების, შესაბამისად, მათი შედეგების გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

პროექტის მესამე და მეოთხე კვარტალში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები ალგეთისა და ხრამის ხეობებში. აღნიშნული სამეცნიერო ექსპედიციების დროს გამოვლინდა რამდენიმე უცნობი წარწერა (მაგ. X-XI სს. უცნობი სააღმშენებლო წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან და სხვ.). გარდა ამისა, დაზუსტდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ წარწერათა (მაგ. გუდარეხის 1278 წლის სააღმშენებლო წარწერა, ვაკის სააღმშენებლო წარწერა და სხვ.) წაკითხვები, რომელთა შესწავლის წინასწარი შედეგები ცნობილი გახდება შუალედური პრეზეტაციის საშუალებით ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.